თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1119886

ნომერი: AR1193508

თარიღი : 29.01.2014

გაცემის თარიღი : 12.02.2014

გაცნობის თარიღი : 12.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით., (ნაკვ.1/73) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ქამუშაძე პ/ნ 01030028695
- თბილისი, არჩილ ქურდიანის ქ. #19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.08.2013წ. #825090 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 29 იანვარს #AR1193508 განცხადებით მომართა შპს ,,MG capital"–ის დირექტორმის წარმომადგენელმა – ალექსანდრე ქამუშაძემ და მოითხოვა სამსახურის 02.08.2013წ. #825090 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, დამკვეთად, ს.ს ,,იბერია უძრავი ქონება"-ს ნაცვლად, შპს ,,MG capital"–ის დაფიქსირება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 02.08.2013წ. #825090 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, (ნაკვეთი N1/73), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.14.08.001.073) შეთანხმდა N14 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთად დაფიქსირებულია ს.ს. ,,იბერია უძრავი ქონება“.

განმცხადებელმა წარმოადგინა „უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ს.ს.,,იბერია უძრავი ქონება“ („უფლების დამთმობი“) გადასცემს, ხოლო შპს,,MG capital“ („უფლების მიმღები“) საკუთრებაში იღებს ყველა იმ სამოქალაქო სამართლებრივ უფლებას, რაც „უფლების დამთმობს“ როგორც მენაშენეს გააჩნია, მათ შორის: შესაბამისი ნებართვების მოპოვების მიზნით, სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების, აგრეთვე, სამშენებლო–საპროექტო დოკუმენტაციაში ნებისმიერი ცვლილების/კორექტირების განხორციელებისა და შეთანხმების უფლებამოსილება შესაბამის ორგანოებთან.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ს.ს,,იბერია უძრავი ქონება" თანახმაა სამსახურის ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდეს შპს,,MG capital“, რომელსაც გააჩნია ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი და აქვს შესაბამისი უფლებამოსილება, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.08.2013წ. #825090 ბრძანებაში, კერძოდ, დამკვეთად, დამკვეთად, ს.ს,,იბერია უძრავი ქონება"-ს ნაცვლად, დაფიქსირდეს შპს ,,MG capital".

2.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.08.2013წ. #825090 ბრძანებასთან ერთად.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.